შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია"

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება,

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და

ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3

ფინანსური ანგარიშგება:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა 11
2. მომზადების საფუძვლები..... 11
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები 20
5. ამონაგები 21
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 22
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 22
8. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან 22
9. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი..... 23
10. მოგების გადასახადი 23
11. ძირითადი საშუალებები 24
12. აქტივის გამოყენების უფლება..... 25
13. მარაგები..... 26
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 26
15. ფული და ფულის ეკვივალენტები 27
16. საწესდებო კაპიტალი 27
17. საიჯარო ვალდებულება..... 27
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები..... 28
19. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები 29
20. ფინანსური რისკის მართვა 29
21. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება..... 32
22. კაპიტალის რისკის მართვა 32
23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 33
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები..... 34
25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება..... 34

მმართველობის ანგარიშგება.....35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სპექტრა გეზის ჯორჯიას“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სპექტრა გეზის ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - ,,პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც მოცემულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მე-5 შენიშვნაში, კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს გამდიდრებული ბორის იზოტოპების (B10 და B11) რეალიზაცია, რომელიც სრულად (8,471,639 ლარი 2024 წლისთვის) (5,087,134 ლარი 2023 წლისთვის) მის მფლობელ კომპანიასთან არის რეალიზებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, კომპანიას არ აქვს სატრანსფერო ფასწარმოქმნის სამართლიანობის და სამართლიან ღირებულებასთან შესაბამისობის დამამტკიცებელი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასების განახლებული დასკვნა. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რომ აღნიშნულ დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები განხორციელდა საბაზრო პირობებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა აღნიშნული საკითხის შესაძლო გავლენის შედეგად აუცილებელი იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური ანგარიშგების ამონაგების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლებში და ფინანსური ანგარიშგების სხვა შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მე-13 შენიშვნაში წარმოდგენილი მარაგების ნაშთი 4,800,406 ლარი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, (4,998,059 ლარი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) მოიცავს 1,988,639 ლარის ღირებულების მარაგებს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,176,836 ლარი), რომელთა დაკავშირებითაც ვერ შევძელით დაგვედგინა მათი კლასიფიკაციის სისწორე, კერძოდ აღნიშნული აქტივების რა ნაწილი შეესაბამება ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმებს და რა ნაწილი წარმოადგენს მარაგებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული მარაგების მნიშვნელოვან ნაწილზე არ ყოფილა მოძრაობა/ბრუნვა 2024 და 2023 წლის მანძილზე. კომპანიას არ განუსაზღვრავს აღნიშნული აქტივების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება და შესაბამისად მარაგები კომპანიის ფინანსურ ანაგრიშგებაში ასახულია თვითღირებულებით (ნაცვლად უმცირესი თანხისა მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და მათ თვითრებულებას შორის). ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულელების მოპოვება. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა აღნიშნული საკითხის შესაძლო გავლენის შედეგად აუცილებელი იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური ანგარიშგების ძირითადი საშუალებების, მარაგებისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2-ე შენიშვნაზე, სადაც აღწერილია კომპანიის შემოსავლის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია ერთ მომხმარებელთან. ეს მოვლენები ან პირობები არსებითი განუზღვრელობის არსებობაზე მიანიშნებს, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონის“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის -

ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით): ა) შიდა განხილვის მიზნებისთვის, ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტორის დასკვნასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:
ლევან პაპიაშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-387992)

შპს „კრესტონ ჯორჯიას“ სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

მისამართი: პ.ქავთარაძის 1 შესახვევი, #10, სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

12 სექტემბერი 2025

ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით): ა) შიდა განხილვის მიზნებისთვის, ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტორის დასკვნასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-387992)

შპს „კრესტონ ჯორჯიას“ სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

მისამართი: პ.ქავთარაძის 1 შესახვევი, #10, სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

12 სექტემბერი 2025

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	8,471,639	5,087,134
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(1,902,371)	(1,540,841)
საერთო მოგება		**6,569,268**	**3,546,293**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,296,517)	(1,949,878)
საოპერაციო მოგება		**4,272,751**	**1,596,415**
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	8	515,333	(262,233)
ფინანსური ხარჯი		(28,524)	(23,886)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9	908,249	879,361
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(8,795)	(100,347)
მოგება დაბეგვრამდე		**5,659,014**	**2,089,310**
მოგების გადასახადი	10	(1,081,285)	(477,251)
წლის მოგება		**4,577,729**	**1,612,059**
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**4,577,729**	**1,612,059**

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-34 გვერდების ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 9 სექტემბერს.

აღმასრულებელი დირექტორი – შოთა რამიშვილი **მთავარი ბუღალტერი - ნინო არაბიძე**

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	8,471,639	5,087,134
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(1,902,371)	(1,540,841)
საერთო მოგება		**6,569,268**	**3,546,293**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,296,517)	(1,949,878)
საოპერაციო მოგება		**4,272,751**	**1,596,415**
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	8	515,333	(262,233)
ფინანსური ხარჯი		(28,524)	(23,886)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9	908,249	879,361
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(8,795)	(100,347)
მოგება დაბეგვრამდე		**5,659,014**	**2,089,310**
მოგების გადასახადი	10	(1,081,285)	(477,251)
წლის მოგება		**4,577,729**	**1,612,059**
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**4,577,729**	**1,612,059**

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-34 გვერდების ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 9 სექტემბერს.

აღმასრულებელი დირექტორი – შოთა რამიშვილი **მთავარი ბუღალტერი – ნინო არაბიძე**

11-34 გვერდებზე მოცემული შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილია

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	3,719,571	3,835,047
არამატერიალური აქტივები		27,974	33,676
აქტივი გამოყენების უფლებით	12	42,931	85,862
სულ გრძელვადიანი აქტივები		**3,790,476**	**3,954,586**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	13	4,800,406	4,998,059
გადახდილი ავანსები		237,295	6,084
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	8,816,337	10,379,688
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	1,801,534	1,075,142
სულ მოკლევადიანი აქტივები		**15,655,572**	**16,458,973**
სულ აქტივები		**19,446,048**	**20,413,559**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება		18,328,148	19,877,696
სულ კაპიტალი		**18,329,148**	**19,878,696**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		-	46,038
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	**46,038**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება		1,045,024	10,035
საიჯარო ვალდებულება	17	45,212	42,628
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	26,664	436,162
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**1,116,900**	**488,825**
სულ ვალდებულებები		**1,116,900**	**534,863**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**19,446,048**	**20,413,559**

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-34 გვერდების ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 9 სექტემბერს.

აღმასრულებელი დირექტორი – შოთა რამიშვილი **მთავარი ბუღალტერი - ნინო არაბიძე**

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	3,719,571	3,835,047
არამატერიალური აქტივები		27,974	33,676
აქტივი გამოყენების უფლებით	12	42,931	85,862
სულ გრძელვადიანი აქტივები		**3,790,476**	**3,954,586**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	13	4,800,406	4,998,059
გადახდილი ავანსები		237,295	6,084
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	8,816,337	10,379,688
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	1,801,534	1,075,142
სულ მოკლევადიანი აქტივები		**15,655,572**	**16,458,973**
სულ აქტივები		**19,446,048**	**20,413,559**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება		18,328,148	19,877,696
სულ კაპიტალი		**18,329,148**	**19,878,696**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		-	46,038
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	**46,038**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება		1,045,024	10,035
საიჯარო ვალდებულება	17	45,212	42,628
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	26,664	436,162
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**1,116,900**	**488,825**
სულ ვალდებულებები		**1,116,900**	**534,863**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**19,446,048**	**20,413,559**

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-34 გვერდების ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 9 სექტემბერს.

აღმასრულებელი დირექტორი – შოთა რამიშვილი **მთავარი ბუღალტერი - ნინო არაბიძე**

11-34 გვერდებზე მოცემული შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილია

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
01 იანვარი 2023	**1,000**	**20,970,059**	**20,971,059**
დივიდენდის გაცემა	-	(2,704,422)	(2,704,422)
ოპერაციები მფლობელებთან	**-**	**(2,704,422)**	**(2,704,422)**
წლის მოგება	-	1,612,059	1,612,059
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**1,612,059**	**1,612,059**
31 დეკემბერი 2023	**1,000**	**19,877,696**	**19,878,696**
დივიდენდის გაცემა	-	(6,127,277)	(6,127,277)
ოპერაციები მფლობელებთან	**-**	**(6,127,277)**	**(6,127,277)**
წლის მოგება	-	4,577,729	4,577,729
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**4,577,729**	**4,577,729**
31 დეკემბერი 2024	**1,000**	**18,328,148**	**18,329,148**

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		**5,659,014**	**2,089,310**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7	300,553	474,408
ფინანსური ხარჯი		28,524	23,689
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	14	(2,377)	(36,644)
(მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	8	(515,333)	262,234
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		4,924	351,333
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		**5,475,305**	**3,164,330**
სამუშაო კაპიტალში ცვლილება:			
ცვლილება მარაგებში		476,495	(1,419,037)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		2,052,967	2,084,653
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(231,211)	779,307
ცვლილება საგადასახადო აქტივებში		1,034,989	(24,438)
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		(415,725)	(28,483)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში პროცენტამდე და გადასახადამდე		**8,392,820**	**4,556,332**
გადახდილი პროცენტები		(28,524)	(23,689)
გადახდილი მოგების გადასახადი	10	(1,081,285)	(477,251)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**7,283,011**	**4,055,392**
ფულადი ნაკადები სინვესტიციო საქმინობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	(420,209)	(1,078,686)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	52,404
სესხის აღება		827,180	-
სესხის გადახდა		(820,441)	(29,605)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(413,470)**	**(1,055,887)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
დივიდენდის გადახდა		(6,127,277)	(2,704,422)
საიჯარო გადასახდელების გადახდა	17	(43,434)	(38,544)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**6,170,711**	**(2,742,966)**
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**698,830**	**256,539**
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	15	1,075,142	836,950
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	8	27,562	(18,347)
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	15	**1,801,534**	**1,075,142**

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია“ (შემდგომში - კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2006 წლის 1 დეკემბერს საიდენტიფიკაციო კოდით: 205184398.

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯიას“ 100%-იანი მფლობელია აშშ-ში რეგისტრირებული კომპანია შპს „სპექტრა ინვესტორს ლლს“ (Spectra Investors LLC), რომლის მფლობელები არიან ფიზიკური პირი მარკ შელბერტი (51%) და Linde AG (49%) 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის. Linde AG-ს მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საჯაროდ ხელმისაწვდომია Linde AG-ს ვებ. გვერდზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია პეტრე ქავთარაძის ქ #46, საბურთალოს რ-ნი, თბილისი, საქართველო.

კომპანიის დირექტორია შოთა რამიშვილი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სტაბილური იზოტოპებით, სუპერ გაწმენდილი გაზის ტექნოლოგიებისა და იზოტოპური შედუღების საშუალებით მოდიფიცირებული მასალების შექმნა და გამდიდრებული ბორის იზოტოპების წარმოება.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მიიღოს და დანერგოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმო

აღსანიშნავია რომ, 2024 წელს კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახდენდა მხოლოდ მშობელ საწარმოზე შპს „სპექტრა ინვესტორს ლლს“-ზე, რომელსაც უჭირავს შუალედური როლი პროდუქტის საბოლოო მომხმარებლებსა და კომპანიას შორის. ხელმძღვანელობამ განიხილა აღნიშნული რისკი და მიაჩნია, რომ ძირითად კლიენტთან თანამშრომლობის შეწყვეტა არ წარმოადგენს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საფრთხეს, რადგან კომპანიას აქვს შესაძლებლობა პროდუქცია პირდაპირ საბოლოო მომხმარებლებზე გაიტანოს.

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის მომგებიანობა და ძლიერი ფინანსური მდგომარეობა, ასევე მიმდინარე გეგმები, და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

გახორციელდა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და კომპანიის ძლიერი ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით ხელმძღვანელობა დარწმუნებულია კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღის შემდგომ.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას, წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით.

ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	**31 დეკემბერი 2023**
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2024	**2023**
1 USD/GEL	2.7208	2.6279
1 EUR/GEL	2,9440	2.8416

ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2024 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას არ მიუღია სხვა არცერთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან შესწორება, რომლებიც გამოცემულია მაგრამ არ არის ეფექტური რეპორტინგ პერიოდისთვის.
ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ფასს 16 იჯარაში – საიჯარო ვალდებულებები უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში - შესწორებებს არანაირი გავლენა არ ქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმები.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტები და განახლებები არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ცვლილებები ბასს 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგებში - ურთიერთგაცვლის შეზღუდული არსებობა;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები;
- ფასს 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გახდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე. ფინანსური აქტივების ყიდვისა და გაყიდვისას სტანდარტულ საბაზრო პირობებში, ფინანსური აქტივები უნდა იყოს აღიარებული ან მოხდეს აღიარების შეწყვეტა ტრანზაქციის ან ანგარიშსწორების თარიღისთვის, შესაბამისად.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის, კომპანია აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს მოგება-ზარალზე და სხვა სრულ შემოსავალზე, როგორც კი ის აღიარებს ფინანსურ აქტივს.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისგან, ერთეული ფინანსურ ინსტრუმენტებს აღრიცხავს ამ თარიღისთვის შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული საბაზრო ფასით (ანუ პირველი რიგის საწყისი მონაცემები), ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც იყენებს მხოლოდ ემპირიულ საბაზრო მონაცემებს. კომპანია აღიარებს სხვაობას სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის თავდაპირველი აღიარებისას, როგორც შემოსავალი ან ზარალი.

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში სამართლიანი ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის გადავადებით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია აღიარებს გადავადებულ სხვაობას, როგორც შემოსავალს ან ზარალს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი წარმოიქმნება იმ ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელიც ბაზრის მონაწილეებმა გაითვალისწინეს აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

კომპანია თავის ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად:

- სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავალში ასახვით.
- ამორტიზირებული ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივები რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ან და სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით; (FVOCI)
- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით. (FVTPL)

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან FVTPL.

ბიზნეს მოდელი:

ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს გაუფასურების რეზერვის ხარჯს იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით წლის მოგება/ზარალში. გაუფასურების რეზერვის ხარჯი დამოკიდებულია კომპანიის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასების მიხედვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, დასაბუთებული ინფორმაციის საფუძველზე.
იმ შემთხვევაში როცა პირველადი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის ზემოქმედების მნიშვნელოვანი ზრდა არ ყოფილა, შეფასებულია 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს წარმოადგენს აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც მიეკუთვნება ნაგულისხმევ მოვლენას, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში. როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდა ან თუ დადგინდა, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზარალის ანაზღაურება ხდება აქტივის სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. სავარაუდო საკრედიტო ზარალის ოდენობა იზომება ფასის სავარაუდო დეფიციტის სავარაუდო შეწონილი ღირებულების საფუძველზე, რომელიც ფასდაკლებულია თავდაპირველი ეფექტური პროცენტით.
ფინანსური აქტივებისთვის, რომლებზეც სავალდებულოა შეფასებულ იქნას რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში, ზარალის ანაზღაურება აღიარებულია სხვა სრულ შემოსავლებში შესაბამისი ხარჯებით. ყველა სხვა შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვის ხარჯი ამცირებს აქტივის საბალანსო ღირებულებას შესაბამისი ხარჯით სრულ მოგება/ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.
კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ისინი ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების უფლების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება ამ უფლების გადაცემა ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი: 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

როგორც მიმდინარე, ისე წინა პერიოდში, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებული და შეფასებულია

ამორტიზებული ღირებულებით, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. ასეთი ვალდებულებები, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, შემდგომში უნდა შეფასდეს ერთეულის მიერ სამართლიანი ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან როდესაც გამოიყენება აქტივების შენარჩუნების მიდგომა;

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება.

წარმოდგენილ პერიოდებში კომპანიას არ გააჩნია სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში ასახული ფინანსური ვალდებულებები.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადა, ისინი აღირიცხება ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ძირითადი, ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით. მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში. ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებულიხარჯები აღრიცხულია დამოუკიდებლად და კაპიტალი იზრდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოიწერა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება,აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ჯგუფი	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	5-50
მანქანა-დანადგარები	1-30
ოფისისი აღჭურვილობა	1-20
სატრანსპორტო საშუალებები	8-10

მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ცვეთა არ წყდება, როდესაც აქტივი გადადის მოცდენის რეჟიმში ან აღარ გამოიყენება აქტიურად, თუ აქტივი მთლიანად არ არის გაცვეთილი.

სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად. ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლისანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება მთლიანი შესყიდვის ღირებულებით, დამატებული მარაგების ამჟამინდელ ადგილზე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის საჭირო ყველა სხვა ხარჯი. მაგალითად, ტრანსპორტირების, იმპორტის და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შეზღუდული ფული შედის ფულადი სახსრებისა და ფულის ეკვივალენტებში, ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომლებიც შეიზღუდება გაცვლის ან გამოყენების ვალდებულების შესასრულებლად, ანგარიშგების თარიღიდან სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში, შედის სხვა გრძელვადიან აქტივებში. დეტალები მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი: კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ) მოხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება კაპიტალში იმ თანხით, რომელიც რეალურად შეტანილი იქნა კომპანიაში მფლობელის მიერ.

დივიდენდები: დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო

პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში (შენიშვნა 24).

მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

იჯარა

კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16-ის გამოყენების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება, როგორც ოპერაციული იჯარა.

იჯარა კლასიფიცირდება იჯარის წამოწყების თარიღისთვის, ხოლო ხელახლა შეფასდება - მხოლოდ იჯარის (საიჯარო ხელშეკრულების) მოდიფიკაციის შემთხვევაში სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები (მაგალითად, საიჯარო აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების), ან სხვა გარემოებების შეცვლა (მაგალითად, მოიჯარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა) არ იწვევს იჯარის ხელახალი კლასიფიკაციის აუცილებლობას მისი აღრიცხვის მიზნებისათვის.

კომპანია, როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.იჯარა განიმარტება, როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება.აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია,მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

შემოსავლის აღიარება

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;

2. შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა;

3. გარიგების ფასის განსაზღვრა;

4. გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე;

5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესრულების ვალდებულება(ებ)ი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც კომპანია ასრულებს ვალდებულებებს კლიენტებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით. აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენებას და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღებას.

კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღირებულია დროის კონკრეტულ მომენტში.

კომპანიის შემოსავლები შედგება გამდიდრებული ბორის იზოტოპების რეალიზაციისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნა 20-ზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება: კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: კომპანია რეგულარულად გადახედავს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასებას. ახალი ფასს 9-ის მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტამდე მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით.თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელ დანაკარგებზე

დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება: ახალი IFRS 9-ის თანახმად, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვების გამოთვლას ყველა რისკის შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტის შექმნის მომენტიდან, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის გაუარესების საფუძველზე. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, IFRS 9 მოითხოვს 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე რეზერვების გამოთვლას. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა და თუ ფინანსური ინსტრუმენტი „გაუფასურებულია“, სტანდარტი მოითხოვს სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე რეზერვების გამოთვლას. შეფასება იმისა, გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად, განსხვავდება პროდუქტისა და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია იყენებს საკუთარ შეფასებას ზემოაღნიშნული საკრედიტო რისკის შესაფასებლად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები: კომპანია აფასებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები: კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები: საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ამონაგები

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს მის მფლობელ კომპანიაზე გამდიდრებული ბორის იზოტოპების B10 და B11-ის რეალიზაცია. შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ამონაგები ექსპორტზე რეალიზაციიდან	8,471,639	5,087,134
სულ ამონაგები	**8,471,639**	**5,087,134**

კომპანიის მთლიანი შემოსავალი მიღებულია დაკავშირებული მხარისაგან და აღიარებულია დროის კონკრეტულ მომენტში.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	514,873	907,461
ნედლეული და მასალები	1,070,302	308,918
ცვეთის ხარჯი	205,085	158,114
ელექტრო-ენერგია	112,111	166,348
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**1,902,371**	**1,540,841**

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საოპერაციო ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	1,484,049	1,420,407
მიმდინარე რემონტი	60,202	82,739
კომუნალური ხარჯი	59,533	56,353
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	37,695	37,330
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	95,468	59,660
ოფისის მომარაგება	9,108	11,135
ბანკის საკომისიო	4,689	10,404
ტრანსპორტირების ხარჯი	3,224	4,323
კომუნიკაციის ხარჯი	5,262	6,283
მივლინების ხარჯი	-	62,135
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(2,377)	(36,644)
სხვა	539,664	235,753
სულ საოპერაციო ხარჯი	**2,296,517**	**1,949,878**

8. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
მოგება საკურსო სხვაობიდან	**4,308,544**	**1,149,143**
ფული და ფულის ეკვივალენტები	379,610	181,358
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,889,384	917,263
მიღებული სესხები	39,529	16,125
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	32,814
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	20	1,583
ზარალი საკურსო სხვაობიდან	**(3,793,211)**	**(1,411,376)**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(3,402,146)	(1,135,628)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(352,049)	(199,705)
მიღებული სესხები	(32,790)	(45,730)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(6,226)	(30,313)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა	**515,333**	**(262,233)**

9. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ანალიტიკური მომსახურება	662,444	653,441
შემოსავალი იჯარიდან	213,710	205,329
სხვა შემოსავალი	32,095	20,591
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	**908,249**	**879,361**

10. მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შეადგენს 1,081,285 ლარს და 477,251 ლარს, შესაბამისად.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე გარდა ბანკებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, ლომბარდებისა და საკრედიტო კავშირებისა და ერთეული სხვა შემთხვევებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არა რეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

11. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობება-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ ჯამი
ისტორიული ღირებულება							
1 იანვარი 2023	**600,967**	**-**	**882,566**	**7,227,584**	**381,754**	**338,092**	**9,430,963**
შეძენა	-	-	261,278	799,584	17,823	-	1,078,685
გაყიდვა	-	-	-	-	-	(109,206)	(109,206)
გასვლა	-	-	(230,178)	(296,613)	(7,887)	-	(534,678)
მარაგებიდან გადმოტანა	-	-	-	67,161	-	-	67,161
31 დეკემბერი 2023	**600,967**	**-**	**913,666**	**7,797,716**	**391,690**	**228,886**	**9,932,925**
შეძენა	-	2,981	-	396,389	20,839	-	420,209
გასვლა	-	-	-	(36,742)	(13,964)	-	(50,706)
31 დეკემბერი 2024	**600,967**	**2,981**	**913,666**	**8,157,363**	**398,565**	**228,886**	**10,302,428**
დაგროვებული ცვეთა							
1 იანვარი 2023	**-**	**-**	**(316,424)**	**(5,226,719)**	**(282,431)**	**(77,702)**	**(5,903,276)**
წლის ცვეთა	-	-	(23,673)	(364,763)	(24,234)	(22,082)	(434,752)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	79,515	96,633	7,199	56,803	240,150
31 დეკემბერი 2023	**-**	**-**	**(260,582)**	**(5,494,849)**	**(299,466)**	**(42,981)**	**(6,097,878)**
წლის ცვეთა	-	-	(23,673)	(460,506)	(25,719)	(20,859)	(530,757)
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	33,703	12,075	-	45,778
31 დეკემბერი 2024	**-**	**-**	**(284,255)**	**(5,921,652)**	**(313,110)**	**(63,840)**	**(6,582,857)**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2023	**600,967**	**-**	**653,084**	**2,302,867**	**92,224**	**185,905**	**3,835,047**
31 დეკემბერი, 2024	**600,967**	**2,981**	**629,411**	**2,235,711**	**85,455**	**165,046**	**3,719,571**

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,580,394 ლარს, (2023 წლის 31 დეკემბერი - 4,410,591 ლარი).

კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული, როგორც უზრუნველყოფის საგანი მესამე პირის სასარგებლოდ.

ცვეთის ხარჯის კლასიფიკაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2024	2024	2024	2024
	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი**	**კაპიტალიზაცია**	**სულ**
ძირითადი საშუალებები	161,057	95,468	274,230	530,755
აქტივების გამოყენების უფლება	42,931	-	-	42,931
არამატერიალური აქტივები	1,097	-	4,606	5,703
	205,085	**95,468**	**278,836**	**579,389**

	2023	2023	2023	2023
	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი**	**კაპიტალიზაცია**	**სულ**
ძირითადი საშუალებები	114,086	56,660	264,003	434,749
აქტივების გამოყენების უფლება	42,931	-	-	42,931
არამატერიალური აქტივები	1,097	-	4,546	5,643
	158,114	**56,660**	**268,549**	**483,323**

12. აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

საბალანსო ღირებულება	*სასაწყობე ფართი*
01 იანვარი, 2023	**178,301**
მოდიფიკაციის ეფექტი	128,794
31 დეკემბერი 2023	**307,095**
შემოსვლა	**-**
31 დეკემბერი 2024	**307,095**

დაგროვილი ცვეთა	
01 იანვარი 2023	**(178,301)**
ცვეთის ხარჯი	(42,931)
31 დეკემბერი 2023	**(221,232)**
ცვეთის ხარჯი	(42,931)
31 დეკემბერი 2024	**(264,163)**

წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2023	**85,862**
31 დეკემბერი 2024	**42,931**

2023 წელს კომპანიამ გადაწყვიტა საიჯარო ვადის გაგრძელება 2025 წლის 31 დეკემბრამდე. სახელშეკრულებო პირობების მიხედვით წლიური საიჯარო გადასახადია 17,760 დოლარი წელიწადში.

აქტივი გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი სრულად აისახება მარაგების თვითღირებულებაში, საიდანაც 2024 წლის განმავლობაში გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაში ასახულია 42,931 ლარის ოდენობით (2023: 42,931 ლარი).

13. მარაგები

მარაგები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	**31 დეკემბერი 2023**
ნედლეული	3,128,115	3,251,380
მზა საქონელი	1,529,821	1,584,818
დაუმთავრებელი წარმოება	142,470	161,861
სულ მარაგები	**4,800,406**	**4,998,059**

მარაგები არ არის დატვირთული, როგორც უზრუნველყოფის საგანი მესამე პირის სასარგებლოდ.

2024 წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში ჩამოწერილი მარაგების თანხამ შეადგინა 1,070,302 ლარი (2023: 308,918 ლარი)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	**31 დეკემბერი 2023**
სავაჭრო მოთხოვნები ექსპორტიდან *	8,689,854	9,591,476
სავაჭრო მოთხოვნები ადგილობრივი კონტრაგენტების მიმართ	583,606	1,247,712
გაუფასურების რეზერვი	(457,123)	(459,500)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**8,816,337**	**10,379,688**

* ზემოთ წარმოდგენილი სავაჭრო მოთხოვნა ექსპორტიდან კომპანიას აქვს მშობელი კომპანიის მიმართ. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 8,337,203 ლარს. (2023: 9,244,624 ლარი).

საეჭვო მოთხოვნების ანარიცხების ცვლილება მოცემულია ქვემოთ:

	საეჭვო დებიტორული დავალიანების რეზერვი
01 იანვარი 2023	**(496,144)**
შემცირება წლის განმავლობაში	36,644
31 დეკემბერი 2023	**(459,500)**
შემცირება წლის განმავლობაში	2,377
31 დეკემბერი 2024	**(457,123)**

მოთხოვნის ყველა თანხა არის მოკლევადიანი.

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დენომინირებულია ქართულ ლარში.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,799,670	1,060,302
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,789	14,615
ნაღდი ფული სალაროში	75	225
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**1,801,534**	**1,075,142**

ფულის ნაშთი ბანკში კლასიფიცირდება როგორც ურისკო. ფულთან და ფულის ეკვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

16. საწესდებო კაპიტალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,000 ლარს, რომლის 100% ეკუთვნის აშშ-ში რეგისტრირებულ კომპანიას შპს სპექტრა ინვესტორსს.

17. საიჯარო ვალდებულება

კომპანიის საიჯარო ვალდებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

		1 წლის განმალობაში	1-3 წელი	სულ
31 დეკემბერი 2024	საიჯარო გადახდები	45,212	-	**45,212**
	მიმდინარე ღირებულება	45,212	-	**45,212**
31 დეკემბერი 2023	საიჯარო გადახდები	42,628	46,038	**88,666**
	მიმდინარე ღირებულება	**42,628**	**46,038**	**88,666**

2023 წელს კომპანიამ გადაწყვიტა გაეგრძელებინა იჯარის ვადა 2025 წლის 31 დეკემბრამდე. ხელშეკრულების პირობების თანახმად, წლიური ქირა წელიწადში 17,760 აშშ დოლარია.

საიჯარო ვალდებულებების ცვლილება 2024 და 2023 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	**88,666**	**-**
არაფულადი მუხლები:		
საპროცენტო ხარჯი	5,116	8,016
მოდიფიკაციის ეფექტი	-	128,795
გადახდები წლის განმავლობაში	(43,435)	(38,545)
საპროცენტო ხარჯის გადახდა	(5,116)	(8,016)
საკურსო სხვაობა, წმინდა	(19)	(1,584)
ნაშთი წლის ბოლოს	**45,212**	**88,666**

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მინიმალური საიჯარო გადასახადები	
	2024 წლის 31 დეკემბერი	**2023 წლის 31 დეკემბერი**
ერთი წლამდე		
გადახდები	46,933	47,744
ფინანსური ხარჯი	(1,721)	(5,116)
	45,212	42,628
1-5 წლამდე		
გადახდები	-	51,154
ფინანსური ხარჯი	-	(5,116)
	-	46,038
5 წლის შემდეგ		
გადახდები	-	-
ფინანსური ხარჯი	-	-
	-	-
წმინდა მიმდინარე ღირებულება	-	-

საიჯარო ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ურისკო. საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	**31 დეკემბერი 2023**
სავაჭრო ვალდებულება ადგილობრივი მომწოდებლის მიმართ	-	404,216
სხვა ვალდებულებები	20,488	26,525
სავაჭრო ვალდებულება უცხოელი მომწოდებლის მიმართ	6,176	5,421
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**26,664**	**436,162**

სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარის მიმართ 4,585 ლარის ოდენობით წარმოდგენილია შენიშვნა 23-ში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულელებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი წარმოდგენილია მე-20 შენიშვნაში.

19. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს, შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას, შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები, მათ შორის მფლობელ კომპანიაზე განხორციელებულ რეალიზაციაზე სატრანსფერო ფასწარმოქმნის საბაზრო ფასთან შესაბამისობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია სათანადოა და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და შესაბამისი (მათ შორის კანონმდებლობით განპირობებული) მიდგომები შენარჩუნდებული იქნება. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბერისათვის ანარიცხი შესაძლო საგადასახადო ვალდებულებაზე არ შექმნილა. (2023 წლის 31 დეკემბრისთვისაც არ შექმნილა ანარიცხი შესაძლო საგადასახადო ვალდებულებაზე).

20. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ სწორად იწარმოოს შიდა პოლიტიკა და პროცედურება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკი მოიცავს:

- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და საფასურთან დაკავშირებულ რისკებს);
- ასევე საკრედიტო რისკებს, და
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა, ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ქვემოთ წარმოდგენილი კომპანიის ის ფინანსური აქტივები, რომელიც დაკავშირებული *საკრედიტო რისკთან:*

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	8,816,337	10,379,688
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	1,801,534	1,075,142
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე		**10,617,871**	**11,454,830**

საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან ფული განთავსებულია მხოლოდ მსხვილ, საიმედო ბანკებში.

კომპანიას არ აქვს რაიმე უზრუნველყოფები სავაჭრო მოთხოვნებზე. კომპანია არ ფლობს გირაოს ან უზრუნველყოფებს, არც სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგ. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს. საკრედიტო ზარალის შესახებ ინფორმაცია მოცემულია შენიშვნა 14-ში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.
სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება, როდესაც აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება კომპანიის ღია სავალუტო პოზიციებთან მიმართებშაში, რომელიც ექვემდებარება ბაზრის ზოგად და სპეციფიკურ მოძრაობებს. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილების გათვალისწინებით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია - ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად, კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ის ფინანსური აქტივები, რომლებიც დაკავშირებულია სავალუტო რისკებთან:

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
31 დეკემბერი 2024			
აშშ დოლარი	10,489,525	(4,585)	**10,484,939**
ევრო	196,643	-	**196,643**
სულ	**10,686,167**	**(4,585)**	**10,681,582**
31 დეკემბერი 2023			
აშშ დოლარი	10,784,709	(353,971)	**10,430,738**
სულ	**10,784,709**	**(353,971)**	**10,430,738**

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

	გავლენა მოგება-ზარალზე	
	2024	**2023**
აშშ დოლარის 30%-ით გამყარება	3,145,482	3,129,221
აშშ დოლარის 30%-ით გაუფასურება	(3,145,482)	(3,129,221)
ევროს 30%-ით გამყარება	58,993	-
ევროს 30%-ით გაუფასურება	(58,993)	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, რადგანაც კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები საკუთარ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2024 და 2023 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან, რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2024	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,816,337	-	8,816,337
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,801,534	-	1,801,534
სულ ფინანსური აქტივები	**10,617,871**	**-**	**10,617,871**
ფინანსური ვალდებულებები			
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	45,212	-	45,212
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26,664	-	26,664
სულ ფინანსური ვალდებულებები	**71,876**	**-**	**71,876**
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	**10,545,995**	-	**10,545,995**
31 დეკემბერი 2023	**< 1 წელი**	**1-დან 5 წლამდე**	**სულ**
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,379,688	-	**10,379,688**
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,075,142	-	**1,075,142**
სულ ფინანსური აქტივები	**11,454,830**	**-**	**11,454,830**
ფინანსური ვალდებულებები			
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	42,628	46,038	**88,666**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	436,162	-	**436,162**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**478,790**	**46,038**	**524,828**
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	**10,976,040**	**(46,038)**	**10,930,002**

კომპანია ითვალისწინებს ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ლიკვიდურობის რისკის შეფასებისა და მართვის დროს, განსაკუთრებით მის ფულად რესურსებსა და სავაჭრო მოთხოვნებს. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვნად აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს. ფულადი ნაკადები სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებიდან ყველა ხელშეკრულებით სრულდება 12 თვის განმავლობაში.

21. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა. აქედან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტურმენტების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

22. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.
კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალისა და აკუმულირებული მოგებისაგან. კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის

კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
მთლიანი კაპიტალი	18,329,148	19,878,696
მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში	1,801,534	1,075,142
კაპიტალი	16,527,614	18,803,554
მთლიანი კაპიტალი	18,329,148	19,878,696
სრული ფინანსირება	18,329,148	19,878,696
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.90	0.95

23. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

(ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზედაც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 14)	8,337,203	9,244,624
სულ ანგარიშგებაში	**8,337,203**	**9,244,624**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 18)	4,585	-
სულ ანგარიშგებაში	**4,585**	**-**

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები 2024 და 2023 წლების განმავლობაში წარმოდგენილია ქვემოთ:

	2024	2023
შემოსავალი	8,471,639	5,087,134
სულ ანგარიშგებაში	**8,471,639**	**5,087,134**
ფინანსური ხარჯი	28,524	23,886
სულ ანგარიშგებაში	**28,524**	**23,886**
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	875,747	843,775
სულ ანგარიშგებაში	**875,747**	**843,775**

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება 2024 და 2023 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2024	2023
ხელფასები და სხვა სარგებელი	169,184	243,743

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს სპექტრა გეზის ჯორჯია-ს ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 9 სექტემბერს.

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ 36
2. კომპანიის საქმიანობა 36
3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა 37
4. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები 37
5. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები 38
6. სოციალური და დასაქმების საკითხები 41
7. მმართველობითი ანგარიშის დამტკიცება 42

1. ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ

შპს „სპექტრა გეზის ჯორჯია”, ს/კ 205184398 (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონისა და „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი”-ს საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო იურიდიულ პირს.

კომპანია დაარსდა 2006 წელს. მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეტრე ქავთარაძის ქ. # 46

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია Spectra Investors LLC - აშშ-ს კომპანია, რომელიც დაფუძნებულია ნიუ-ჯერსის შტატში.

კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია შოთა რამიშვილი (პ/ნ 17001002443).

კომპანია წარმატებით იყენებს უნიკალურ და ღირებულ ნოუ-ჰაუს, რომელიც აძლევს საშუალებას აწარმოოს უმაღლესი ხარისხის სამრეწველო პროდუქცია.

კომპანიის გუნდი დაკომპლექტებულია საკმაოდ გამოცდილი კადრებით, რომელთაც აქვთ მკაცრად განსაზღვრული ძირეული პრინციპები და ხედვა, მათი გამოცდილება საშუალებას აძლევს კომპანიას მაღალი ხარისხით და დროულად შეასრულოს ნებისმიერი სირთულის ამოცანები.

2. კომპანიის საქმიანობა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სტაბილური იზოტოპებით, სუპერ გაწმენდილი გაზის ტექნოლოგიებისა და იზოტოპური შედუღების საშუალებით მოდიფიცირებული მასალების შექმნა და გამდიდრებული ბორის იზოტოპების წარმოება.

ზემოთხსენებული ძირითადი პროდუქტების საფუძველზე კომპანია ამზადებს ისეთ ნაერთებს, როგორიცაა ამორფული ბორი, ბორის მჟავა, ბორის კარბიდი და სხვა.

დამზადებული პროდუქციის ნაწილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სადისტრიბუციოდ ეგზავნება სათაო კომპანიას აშშ-ში, ხოლო ნაწილი შ.პ.ს. ,,საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულ ცენტრს’’.

კომპანიის შემოსავალმა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შეადგინა 8,471,639 და 5,087,134 ლარი შესაბამისად.

კომპანიის სტრუქტურა

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა არის ეფექტური, მოქნილი და დასახულ ამოცანებზე მისადაგებული, რათა მიღწეულ იქნას მდგრადი კონკურენტული უპირატესობა.

კომპანიის მთავარი მმართველობითი ორგანოა - პარტნიორთა კრება.

პარტნიორთა კრების ძირითადი ფუნქციებია: კომპანიის მიმდინარე საკითხების განხილვა/გადაწყვეტა, რგოლებს შორის კოორდინაცია/კომუნიკაცია, სტრატეგიული გეგმების განხილვა. მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი.

ყოველდღიური მართვის პროცესში ჩართული არიან საწარმოო, ხარისხის მართვის, ანალიტიკური, ინფრასტრუქტურის, ავტომატიზაციის, შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის, ფინანსური, ასევე გაყიდვებისა და შესყიდვების დსეპარტამენტები. მათი მიზანია ხელი შეუწყონ

კომპანიის მართვასა და განვითარებას, უზრუნველყონ პროექტების რეალური გეგმების არსებობა და მათი შესრულება ხარისხიანად, რაციონალურად მოხდეს შესყიდვების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. კომპანიაში მუშაობს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების გუნდი, რაც ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის საფუძველია.

3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

კომპანია სისტემატურად აწარმოებს ბაზარზე არსებული ფასების კონკურენციის და პროდუქციის შესწავლას.
კომპანია სამომავლოდ განიხილავს შემდეგ პერსპექტიულ მიმართულებებს:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდას ახალი პროდუქტების განვითარებით. არსებული კონკურენციის პირობებში კომპანიის მიზანია განვითარებული ტექნოლოგიური საშუალებებით, მაღალკვალიფიციური თანამშრომლობით და გაუმჯობესებული ტექნოლოგიით უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს, აწარმოო მეტი პროდუქტი და შესთავაზოს მომხმარებელს მსოფლიო მაშტაბით;
- საწარმოო დანახარჯების შემცირებას ახალი ტექნიკური გადაწყვეტების დანერგვით. კომპანიაში არსებული კვლევითი-ექსპერიმენტალური ჯგუფი მუშაობს რამოდენიმე მიმართულებით, რათა მოხდეს რიგი ტექნოლოგიური გადაწყვტების იმპლემენტაცია, რომელიც უზურინველყოფს საწარმოო დანახარჯების შემცირებას ნედელულსა და მოხმარებულ ენერგიაზე;

4. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები

კომპანიის მისიაა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ გაუფრთხილდეს და ზიანი არ მიაყენოს გარემოს, რისთვისაც უზრუნველყოფს ეკოლოგიური მიმართულებით წარმოქმნილი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციას.
გარემოს დაცვის მიმართულებით კომპანიის მიზანია:

- ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;
- პერსონალის კვალიფიკაციის, მოტივაციისა და ჩართულობის ამაღლება;
- ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების დაცვა;
- მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების მუდმივი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულებით რისკების შემცირება;

კომპანია ზრუნავს საკუთარ იმიჯზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ნდობის მოპოვებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისი საქმიანობიდან და სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე კომპანია ვალდებულებას იღებს, ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, მუდმივად გააუმჯობესოს გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემა და მისი ფუნქციონირების ეფექტურობა, რაც ძირითად საფუძველს წარმოადგენს შიდა მოხმარების ბუნებრივი რესურსების გაფრთხილებისა და მაქსიმალურად დაზოგვისათვის.

5. კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებების გატარება და მონიტორინგი. რისკების იდენტიფიცრებისა და ანალიზისთვის განიხილება სტრატეგიული, ფინანსური, ოპერაციული და სხვა რისკები, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორით გამოწვეული.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მსოფლიოში არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომლის გაუარესებაც უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე და თავის მხრივ, კომპანიის დაკვეთებზე.

- **საკადრო და საორგანიზაციო რისკები:**

ვინაიდან სპეციალისტების და ინჟინრების მოძიება საკმაოდ რთულია, კომპანიის მთავარი ამოცანაა არსებული თანამშრომლების შენარჩუნება, განვითარება და მოტივირება, რათა არ იყოს კადრების დინების მაღალი კოეფიციენტი.

შრომის უსაფრთხოების რეგულაციების გამკაცრება გარკვეულ რისკებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, რადგან ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ რომ არა მხოლოდ ჩვენმა კადრებმა მიიღეს ინფორმაცია და ჩაუტარდათ ტრენინგები არამედ ქვეკონტრაქტორის ყველა თანამშრომელს.

- **კომერციული რისკები**

კომპანია ცდილობს, როგორც პროექტების ასევე დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას რათა დამოუკიდებელი მიზეზების გამო, პროექტის შეჩერების, შეწყვეტის შემთხვევაში შესაძლებელი და უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის ზრდა განვითარება.

- **ოპერაციული რისკები**

ოპერაციების ზრდა ასევე არის დაკავშირებული კომერციულ რისკებთან, რაც თავისთავად გულისხმობს სწორ დაგეგმვას და ასევე კადრებისთვის ახალი მოვალეობების და მოთხოვნების დელეგირებას რათა შენარჩუნებული იქნეს მაღალი ხარისხი და მოხდეს დროის ოპტიმალური გამოყენება.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც სამუშაო პროცესის შეფერხებას იწვევს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად მანქანა/დანადგარებს უტარდება პრევენციული და რეაქტიული ტექნიკური დათვალიერება.

- **ფინანსური რისკები**

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,816,337	10,379,688
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,801,534	1,075,142
სულ ფინანსური აქტივები	**10,617,871**	**11,454,830**

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საიჯარო ვალდებულება	(45,212)	(88,666)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(26,664)	(436,162)
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(71,876)**	**(524,828)**

- **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფინანსური დანაკარგების რიცხვს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ რისკთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.
საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ანაგრიშების გახსნით მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომელთაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

- **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო.
საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.
მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომპანია აწარმოებს საქონელს რომელსაც შემდეგ ყიდის დაკავშირებულ მხარეზე ქვეყნის გარეთ. წარმოებისთვის საჭირო მასალა შემოაქვს იმპორტით. შესაბამისად, კომპანია დგება სავალუტო რისკის წინაშე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

31 დეკემბერი 2024	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	10,489,524	(4,585)	**10,484,939**
ევრო	196,643	-	**196,643**
სულ	**10,686,167**	**(4,585)**	**10,681,582**

31 დეკემბერი 2023	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	10,784,709	(353,971)	**10,430,738**
სულ	**10,784,709**	**(353,971)**	**10,430,738**

	გავლენა მოგება-ზარალზე	
	2024	**2023**
აშშ დოლარის 30%-ით გამყარება	3,145,482	3,129,221
აშშ დოლარის 30%-ით გაუფასურება	(3,145,482)	(3,129,221)
ევროს 30%-ით გამყარება	58,993	-
ევროს 30%-ით გაუფასურება	(58,993)	-

- **ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

ლიკვიდურობის რისკი იმართება მკაცრი მენეჯმენტის გამოყენებით რაც გამოიხატება ფულადი სახსრების მოძრაობის ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსალოდნელი ფინანსური ცალდებულებების დროული დაფარვა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი 2024	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,816,337	-	8,816,337
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,801,534	-	1,801,534
სულ ფინანსური აქტივები	**10,617,871**	**-**	**10,617,871**
ფინანსური ვალდებულებები			
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	45,212	-	45,212
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26,664	-	26,664
სულ ფინანსური ვალდებულებები	**71,876**	**-**	**71,876**
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	**10,545,995**	-	**10,545,995**

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,379,688	-	**10,379,688**
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,075,142	-	**1,075,142**
სულ ფინანსური აქტივები	**11,454,830**	**-**	**11,454,830**
ფინანსური ვალდებულებები			
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	42,628	46,038	**88,666**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	436,162	-	**436,162**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**478,790**	**46,038**	**524,828**
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	**10,976,040**	**(46,038)**	**10,930,002**

რისკების მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს მათი მაქსიმალურად სწორი და დროული შეფასება, მომავალში რისკების შედეგების შემცირების მიზნით, რასაც კომპანია წარსულში მიღებული გამოცდილების და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შეჯამება-შეფასებით ახორციელებს.

6. სოციალური და დასაქმების საკითხები

- <u>კომპანიის შრომითი ხელშეკრულება:</u>

კომპანიის თითოეულ თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობები რეგულირდება კომპანიის შინაგანაწესით და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. ხელშეკრულებაში განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მათი მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შინაგანაწესს, თანამდებობრივ და სამუშაო ინსტრუქციებს, ტექნოლოგიურ რეგლამენტებს, უსაფრთოხების შესაბამის სტანდარტს. სამსახურში მიღება იწყება სტაჟიორის რანგით, გრძელდება საგამოცდო ვადით და სრულდება სამუშაო კონტრაქტით.

თანამშრომელს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, ხოლო მათი დარღვევისათვის გათვალისწინებული სხვადასხვა სასჯელი: დაწყებული შენიშვნიდან დამთავრებული თანამდებობიდან განთავისუფლებამდე.

ამჟამად კომპანიაში დასაქმებულია 99 ადამიანი, მათ შორის: 32 დასაქმებულია წარმოებაში, დანარჩენი თანამშრომლები წარმოადგენენ ადმინისტრაციას და სხვა მომსახურე პერსონალს (ხარისხის კონტროლი, ანალიზური ლაბორატორია, ავტომატიზაცია, ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა, შრომის უსაფრთხოება, ლოჯისტიკა, საერთო საკითხები).

- <u>კომპანიის შინაგანაწესი:</u>

კომპანიის შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანი არის მუშაკთა უფლებების განმარტება, კომპანიის პირობების და მისი შიდა სტრუქტურის განმარტება.

- <u>გამჭვირვალობა:</u>

ყველა საკითხი არის ღიად განხილული ყველა თანამშრომელთან. ნებისმიერ პრობლემის მოგვარებაში ერთვება დირექტორი და შესაბამისი მიმართულების მენეჯერი ადგილზე. ყველა ინფორმაცია არის ღიად განცხადებული, როგორიც არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, რისკები, გეგმები.

- <u>დაზღვევა:</u>

კომპანია შესაძლებლობას აძლევს ყველა თანამშრომელს ისარგებლობს კორპორატიული სამედიცინო დაზღვევით, რაც სურვილის შემთხვევაში ასევე ითვალისწინებს ოჯახის წევრთა ჩართვას სადაზღვევო სისტემაში.

- <u>ანაზღაურება ორსულობის დროს ან ავად ყოფნის დროს:</u>

კომპანიის ყველა თანამშრომელს ავადმყოფობის პერიოდში სრულად ეძლევა თანამდებობრივი სარგო, ასევე დეკრეტულ შვებულების მთელი პერიოდის მანძილზე სრულად უნარჩუნდება ხელფასი.

- <u>თანამშრომლების მოტივაცია და კომპენსაცია:</u>

კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიზნით პერსონალი სისტემატიურად იღებს პრემიას, სახელფასო დანამატს ან საჭიროების შემთხვევაში სხვა სახის დახმარებას.

კომპანიის თანამშრომლები საჭიროების მიხედვით მონაწილეობენ ადგილობრივ ტრეინინგებში და აქვთ შესაბამისი სერთიფიკატები.

7. მმართველობითი ანგარიშის დამტკიცება

მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2025 წლის 9 სექტემბერს.

აღმასრულებელი დირექტორი

შოთა რამიშვილი

_____

- <u>გამჭვირვალობა:</u>

ყველა საკითხი არის ღიად განხილული ყველა თანამშრომელთან. ნებისმიერ პრობლემის მოგვარებაში ერთვება დირექტორი და შესაბამისი მიმართულების მენეჯერი ადგილზე. ყველა ინფორმაცია არის ღიად განცხადებული, როგორიც არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, რისკები, გეგმები.

- <u>დაზღვევა:</u>

კომპანია შესაძლებლობას აძლევს ყველა თანამშრომელს ისარგებლობს კორპორატიული სამედიცინო დაზღვევით, რაც სურვილის შემთხვევაში ასევე ითვალისწინებს ოჯახის წევრთა ჩართვას სადაზღვევო სისტემაში.

- <u>ანაზღაურება ორსულობის დროს ან ავად ყოფნის დროს:</u>

კომპანიის ყველა თანამშრომელს ავადმყოფობის პერიოდში სრულად ეძლევა თანამდებობრივი სარგო, ასევე დეკრეტულ შვებულების მთელი პერიოდის მანძილზე სრულად უნარჩუნდება ხელფასი.

- <u>თანამშრომლების მოტივაცია და კომპენსაცია:</u>

კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიზნით პერსონალი სისტემატიურად იღებს პრემიას, სახელფასო დანამატს ან საჭიროების შემთხვევაში სხვა სახის დახმარებას.

კომპანიის თანამშრომლები საჭიროების მიხედვით მონაწილეობენ ადგილობრივ ტრეინინგებში და აქვთ შესაბამისი სერთიფიკატები.

7. მმართველობითი ანგარიშის დამტკიცება

მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2025 წლის 9 სექტემბერს.

აღმასრულებელი დირექტორი

შოთა რამიშვილი